8192-15-14-2-201907191154

N 15-14/8192
19/07/2019

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ქალბატონ თეა წულუკიანს

# რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

**მსჯავრდებულ[redacted]N2 პენიტენციური დაწესებულებიდან მისი ან მისი ახლო ნათესავის საცხოვრებელი ადგილიდან ყველაზე ახლოს მდებარე შესაბამისი ტიპის დაწესებულებაში გადაყვანის თაობაზე**

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ქალბატონო თეა,

**ფაქტობრივი გარემოებები:**

2019 წლის 16 მაისს სახალხო დამცველის რწმუნებული შეხვდა და ესაუბრა მსჯავრდებულ[redacted], რომელმაც აღნიშნა, რომ მისი და ახლო ნათესავების მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არის ქ. თელავი, თუმცა, თითქმის სამი წელია განთავსებულია N2 პენიტენციურ დაწესებულებაში.

[redacted] განმარტებით, 2017 წლიდან არაერთი წერილით მიმართა შესაბამის უწყებებს ოჯახის საცხოვრებელ ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე დაწესებულებაში გადაყვანის თხოვნით, თუმცა უშედეგოდ. აღნიშნა, რომ ჰყავს ხანდაზმული დედა და ნათესავები, რომლებიც ჯანმრთელობისა და მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით ვერ ახერხებენ ქ. ქუთაისში ჩამოსვლას; შესაბამისად, ეზღუდება კუთვნილი პაემანისა და ამანათის მიღების უფლება. მსჯავრდებულის გადმოცემით, N2 პენიტენციურ დაწესებულებაში ვერც ერთხელ ისარგებლა ხანმოკლე/ხანგრძლივი პაემანით.

საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, 2019 წლის 31 მაისს N15-14/6132 წერილით N2 პენიტენციური დაწესებულებიდან გამოვითხოვეთ [redacted] შესახებ სათანადო ინფორმაცია. მიღებული პასუხის თანახმად, პირად საქმეში არსებული მონაცემებით, მსჯავრდებულის რეგისტრაციის მისამართია: [redacted], ხოლო ფაქტობრივი მისამართია: [redacted]. აღნიშნულია, რომ [redacted] N2 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულია 2016 წლის 21 ოქტომბრიდან, მას განსაზღვრული აქვს საშიშროების მომეტებული რისკი. მსჯავრდებულს ხანმოკლე/ხანგრძლივი პაემანით N2 დაწესებულებაში არც ერთხელ უსარგებლია.

აღსანიშნავია, რომ [redacted] ოჯახის წევრების საცხოვრებელ ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე შესაბამისი ტიპის დაწესებულებაში გადაყვანის თაობაზე 2017 წლიდან არაერთხელ[1] მივმართეთ პენიტენციურ დეპარტამენტს. მიღებული პასუხებით[2] [redacted] აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე რომელიმე დაწესებულებაში გადაყვანა უსაფრთხოების თვალსაზრისიდან გამომდინარე მიზანშეწონილი არ იყო.

**სამართლებრივი დასაბუთება:**

ევროპული ციხის წესების შესაბამისად, პატიმრების განთავსება უნდა მოხდეს შეძლებისდაგვარად ახლოს მათ სახლებთან ან სოციალური რეაბილიტაციის ადგილებთან[3]. გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, მიუხედავად იმისა, კონვენცია არ ადგენს პატიმრის უფლებას, თვითონ აირჩიოს პენიტენციური დაწესებულება, **მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულების სიშორე არ უქმნიდეს ოჯახის წევრებს ვიზიტების განხორციელების დაბრკოლებას. შესაბამისად, ზოგიერთ შემთხვევაში ასეთი დაბრკოლების არსებობა შესაძლებელია ჩაითვალოს როგორც ოჯახურ ცხოვრებაში ჩარევა.**[4] აღსანიშნავია ისიც, რომ ოჯახთან კომუნიკაცია უმეტეს შემთხვევაში გადამწყვეტი ფაქტორია მსჯავრდებულის რესოციალიზაციისთვის. რესოციალიზაცია კი, თავის მხრივ, სასჯელის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს[5].

ცალსახად ვიზიარებ პოზიციას პენიტენციურ დაწესებულებებში უსაფრთხოების საკითხის განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ, თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვნად მიმაჩნია მსჯავრდებულების ოჯახის წევრებთან პაემანის უფლებით დაუბრკოლებლად სარგებლობა და ამ საკითხებს შორის ბალანსის დაცვა. როგორც უკვე აღინიშნა, [redacted] **ოჯახის წევრებთან პაემანის უფლებით არ უსარგებლია თითქმის სამი წლის მანძილზე.**

საგულისხმოა, რომ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N117 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N8 პენიტენციური დაწესებულების დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დაწესებულებაში განთავსებულები არიან ბრალდებულები, მათ შორის,

---

[1] 2017 წლის 24 თებერვლის N11-2/2671 წერილი, 2017 წლის 21 აპრილის N11-2/5172 წერილი, 2017 წლის 6 ივლისის N11-2/9407 წერილი.

[2] 01/03/2017 – MOC 9 17 00159562; 02/05/2017 – MOC 8 17 00327654; 17/07/2017 – MOC 8 17 00547533.

[3] ევროპული ციხის წესები - პუნქტ. 17.1.

[4] იხ. ვინტმანი უკრაინის წინააღმდეგ, პარ.N78, N28403/05, 23/01/2015.

[5] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილი.

არასრულწლოვანი ბრალდებულები, რომელთაც სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდათ პატიმრობა ან/და პატიმრობის დაწესებულებაში გადაყვანილნი არიან პატიმრობის კოდექსის 55[1] მუხლის შესაბამისად და მსჯავრდებულები, რომლებსაც სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის (შემდგომში - დეპარტამენტის დირექტორი) ბრძანებით განესაზღვრათ დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სასჯელის მოხდა ან **რისკების შეფასების გუნდის მიერ განესაზღვრათ საშიშროების მომეტებული რისკი** და დეპარტამენტის დირექტორის გადაწყვეტილებით გადაყვანილ იქნენ დაწესებულებაში.

აღსანიშნავია, რომ N8 პენიტენციური დაწესებულების მსგავსად, ის მსჯავრდებულები, რომლებსაც განსაზღვრული აქვთ დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სასჯელის მოხდა ან საშიშროების მომეტებული რისკი, შესაძლებელია ასევე განთავსდნენ აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე N9 პენიტენციურ დაწესებულებაში,[6] N12 პენიტენციურ დაწესებულებაში,[7] N15 პენიტენციურ დაწესებულებაში [8] და N17 პენიტენციურ დაწესებულებაში.[9] ამასთან, N2 პენიტენციური დაწესებულების მსგავსად, N8, N9, N12 (დახურული ტიპის ნაწილი), N15 (დახურული ტიპის ნაწილი), N17 (დახურული ტიპის ნაწილი) პენიტენციური დაწესებულებებში ყოველდღიური გასეირნების უფლებით სარგებლობის გარდა, მსჯავრდებულები დაწესებულების ტერიტორიაზე გადაადგილდებიან მხოლოდ დღის განრიგით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა პროცედურებზე (შემოწმება, პაემანი და სხვა შეხვედრა, სამედიცინო დახმარების გაწევის აუცილებლობა და სხვა). შესაბამისად, მინიმალურია მსჯავრდებულებს შორის კონტაქტი, ან/და მსჯავრდებულების კონტაქტი დაწესებულების თანამშრომლებთან, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს დახურული ტიპის დაწესებულებებში უსაფრთხოების დაცვას.

საგულისხმოა, რომ [redacted] მოთხოვნა, N8 პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანის თაობაზე, უნდა გამორიცხავდეს მსჯავრდებულის კანონიერი უფლების, უსაფრთხოების მოტივით, შეზღუდვის ლეგიტიმურ შესაძლებლობას, ვინაიდან, როგორც მოგეხსენებათ, დღეის მდგომარეობით, N2 პენიტენციური დაწესებულების მსგავსად, N12, N15, N17 დაწესებულებებიდან განსხვავებით, N8 პენიტენციურ დაწესებულებაში უზრუნველყოფილია მომეტებული რისკის მქონე მსჯავრდებულთათვის განთავსების და გადაადგილების ზემოაღნიშნული პირობები. მსგავსი პირობებია და იგივე რისკის პატიმრებია მოთავსებული N9 პენიტენციურ დაწესებულებაშიც, იმ განსხვავებით, რომ არსებული პრაქტიკის შესაბამისად, ხსენებულ დაწესებულებაში ძირითადად მოთავსებულია სამოხელეო დანაშაულისთვის თავისუფლებაშეზღუდული/თავისუფლებააღკვეთილი პირები. N8 პენიტენციური

---

[6] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N120 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N9 პენიტენციური დაწესებულების დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი.

[7] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N115 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N12 პენიტენციური დაწესებულების დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი.

[8] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N111 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N15 პენიტენციური დაწესებულების დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი.

[9] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N110 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N17 პენიტენციური დაწესებულების დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი.

დაწესებულების შემთხვევაში კი დებულებითა და ფაქტობრივად არსებული მდგომარეობით, **ბრალდებულები და მსჯავრდებულები განთავსებულები არიან სპეციალურ საკნებში, სადაც მათი ან სხვა პირების უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე და დაწესებულების დებულების მოთხოვნათა დაცვის მიზნით, შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.**[10] ამასთან, დებულების თანახმად, **სუფთა ჰაერზე**[11] **გაყვანას ან დაწესებულების ტერიტორიაზე სხვა მოტივით გადაადგილებას წარმართავს დაწესებულების წარმომადგენელი.**

**დასკვნა:**

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, მოგმართავთ რეკომენდაციით, მსჯავრდებულის ან მისი ახლოს ნათესავის საცხოვრებელ ადგილთან ახლოს სასჯელის მოხდის პრინციპის დაცვით, მსჯავრდებული [redacted] სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით, გადაიყვანოთ შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებაში.

ამასთან, გთხოვთ, მოცემული რეკომენდაციის განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

დანართი: 3 (სამი) ფურცელი.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი

---

[10] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N117 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N8 პენიტენციური დაწესებულების დებულების მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტი.

[11] ყოველდღიურად არანაკლებ 1 საათისა.